საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/74

ქ. ბათუმი 19 სექტემბერი 2017 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №118 დადგენილების, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" ბსუ-ს 2015 წლის 29 ივლისის №86 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1.1 შემოდგომის სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები - 2017 წლის 27 ნოემბერიდან 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით;
1.2 შემოდგომის სემესტრის არდადეგები -2018 წლის 1 იანვრიდან 7 იანვრის ჩათვლით;
1.3 გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები - 2018 წლის 8 იანვრიდან 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების შესაბამისი განცხადების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (ველში ,,პროფესიული პროგრამები").
4. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**